უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 05

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი 06/ 03 /2020 წ
სხდომის დაწყების დრო 15:10 სთ
სხდომის დამთავრების დრო 20:20 სთ
საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი - ნიკოლოზ კიკნაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი **(საბჭოს თავმჯდომარე)**;
2. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **(საბჭოს მდივანი)**;
3. **დიმიტრი გეგენავა** - შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
4. **მანანა კევლიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
7. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
8. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
9. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თეა ნადირაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ნათია ჩიქოვანი	შპს მილენიუმი სასწავლო უნივერსიტეტი	სასწავლო დეპარტამენტის სპეციალისტი	I
2.	ნათია კონცელი		საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი	I
3.	ზურაბ ლობჟანიძე		სასწავლო პროცესების მართვის სამსახური უფროსი	I
4.	ნატო ზაქარეიშვილი		დეკანის მოადგილე	I
5.	მარიამ მესხიშვილი		რექტორი	I
6.	ალექსანდრე ყავლაშვილი		ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სპეციალისტი	I
7.	ხათუნა ბაგაშვილი		უწყვეტი განათლების განვიატრების უფროსი	I
8.	ზაალ გოგლია		ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი	I
9.	დევი ხვედელიანი		ვიცე-რექტორი	I
10.	სოფიკი ძნელაძე		პროფესორი	I
11.	ივანე მჭედელეძე		ასოცირებული პროფესორი	I
12.	ზეინაბ ედიბერიძე		ასოცირებული პროფესორი	I
13.	თეა კალანდია		მოწვეული ლექტორი	I
14.	რამაზ ჟღენტი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	II, III, IV, V
15.	მარიამ ყავრელიშვილი		უფროსი სპეციალისტი	II, III, IV, V
16.	ნინო ჩიკვილაძე		ასოცირებული პროფესორი	II, III, IV, V
17.	კონსტანტინე ბზიავა		ასოცირებული პროფესორი	II, III, IV, V
18.	გიორგი გიგინეიშვილი		ასოცირებული პროფესორი	II, III, IV, V
19.	ქეთევან ქუთათელაძე		პროფესორი	II, III, IV, V
20.	ლალი ხუნწარია		პროფესორი	II, III, IV, V
21.	ირმა ინაშვილი		პროფესორი	II, III, IV, V
22.	გია არაბიძე		პროფესორი	II, III, IV, V
23.	ნინო გზირიშვილი		აკ. დოქტორი	II, III, IV, V
24.	თეონა ვაშაკიძე		მოწვეული ლექტორი, კონსტრუქტორი	II, III, IV, V
25.	ნინო ხაბეიშვილი		არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის	II, III, IV, V

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

			უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
26.	ლია ლურსმანაშვილი		პროფესორი	II, III, IV, V
27.	ნინო იმნაძე		არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი	II, III, IV, V
28.	გიროგი დობორჯგინიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	II, III, IV, V
29.	რეზო თედორაძე		პროფესორი	II, III, IV, V
30.	ნათია ბუთხუზი		ასოცირებული პროფესორი	II, III, IV, V
31.	ოთარ გელაშვილი		ფაკულტეტის დეკანი	II, III, IV, V
32.	ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი		პროფესორი	II, III, IV, V
33.	მარინა ჯავახიშვილი		სამშენებლო ფაკულტეტების ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II, III, IV, V

აკრედიტაციის ექსპერტები

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	რამაზ ქურდაძე		I
2	ნინო პოპიაშვილი		I
3	თამაზ ბიჭიაშვილი		II
4	ბაქარ დუაძე		II
5	მერაბ ბარათაშვილი		III
6	გოჩა ჩავლიშვილი		III
7	ოლეგ კაკუშაძე		III
8	ლელა ბახტაძე		IV
9	თეიმურაზ კოჩაძე		IV
10	ნათელა გიორგაძე		IV
11	ნინო ღაღანიძე		V
12	ეკატერინე ჩხუტიშვილი		V
13	სალომე წულუკიძე		V

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. შპს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტის (ყოფილი შპს ნიუ უნივერსითი და უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია) „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ელექტროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ლოგისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანალებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✔ არა

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. შპს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტის (ყოფილი შპს ნიუ უნივერსითი და უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია) „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ელექტროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ლოგისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

1. პირველი საკითხი - შპს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტის (ყოფილი შპს ნიუ უნივერსითი და უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია)„ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ქართულ ენაში მომზადება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 25 ივნისის N131
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი[7]	საქართველო, ქ. თბილისი, 0140, ქსნის ქუჩა N35
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✔ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✔ არა

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

---

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;

[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ პოზიცია.
ექსპერტ რამაზ ქურდაძის თქმით, უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 29 ოქტომბერს. მან საუბარი დაიწყო ვიზიტის განხილვით. ექსპერტის თქმით მიზანშეწონილია, რომ პროგრამას ჰქონდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, როგორც მან აღნიშნა ვიზიტზე გამოიკვეთა აღნიშნულ პროგრამაზე დიდაქტიზებული მასალების შექმნის ინტერესი. უნივერისტეტის წარმომადგენლები იზიარებდნენ რეკომენდაციას და ამბობდნენ, რომ ამის შექმნა აუცილებელია. აღინიშნა, რომ უნდა გამდიდრდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.
რამაზ ქურდაძის თქმით, ის სასწავლო მასალა, რომელიც შემუშავდა და არ იყო გამოცემამდე მისული ვიზიტის დროს, საჭიროა გაეგზავნოთ შესაბამისი დარგისა და კვალიფიკაციის ექსპერტებს რეცენზირებისთვის და შესაბამისი დასკვნების გათვალისწინების შემთხვევაში მოხდეს მისი გამოცემა. მისი თქმით, ასევე, მიზანშეწონილია ქართულ ენაში მომზადების პროგრამის პოპულარიზაცია მოხდეს ოს, აფხაზ, სომეხ და აზერბაიჯანელ მოსაწავლეებთანაც. ასევე. აღინიშნა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ნაკლებად არის ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში.
ამჟამინდელი სპეციალისტები გახლავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. ბატონი რამაზ ქუნდაძის უკმაყოფილება ლექტორების საკითხთან დაკავშირებით ეხებოდა 2019 წლის 29 ოქტომბრის ვიზიტს. ამ ეტაპზე, მისივე თქმით, ლექტორების გუნდი საკმაოდ პროფესიონალურად არის დაკომპლექტებული.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები საკმაოდ უხვად არის წარმოდგენილი და რჩევების წაკითხვა აღარ იყო საჭირო.
აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში იყო რამდენიმე აკადემიური პერსონალი, რომლებმაც დატოვეს უნივერსიტეტი და წერილობით აღნიშნა ამის თაობაზე.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასეთი სიტუაცია მართლაც დაფიქსირდა. რამდენიმე პედაგოგი გაეთიშა პროგრამას, თუმცა უნივერსიტეტმა იცოდა ამის შესახებ, ლექტორებმა უნივერსიტეტს წერილობით მიმართეს. შემდგომ მოხდა კონკურსის გამოცხადება, რასაც მოყვა 2 აკადემიური პერსონალისა და 3 მოწვეული პედაგოგის აყვანა. ისინი დღეს სხდომაზე არიან წარმოდგენილნი.
უნივერსიტეტმა მათთან გააფორმა ხელშეკრულებები, რომლებიც ზეპირ მოსმენაზე წარმოადგინეს.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი გაეცნენ რეკომენდაციებს და ნაწილობრივ იზიარებენ სილაბუსებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს. აღნიშნა, რომ მხოლოდ ორ სილაბუსშია წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. რაც შეეხება პერსონალის კვალიფიკაციას, მოწვეული პედაგოგები წარმოადგენდნენ მასწავლებლის სახლის მრავალჯერ დატრენინგებულ პირებს. ასევე, გაიზიარეს ექსპერტთა რეკომენდაცია პერსონალის სამეცნიერო კონფერენციებში ჩართვასთან დაკავშირებით და აღნიშნეს, რომ უფრო მეტი სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება იყო საჭირო, თუმცა ამის ხელშემშლელ მიზეზად დროის ფაქტორი მოიყვანეს. ასევე, აღნიშნეს, რომ ეთანხმებოდნენ რეკომენდაციას ბიბლოითეკის შესახებ და აღნიშნეს, რომ წიგნადი ფონდი შესავსებია.

საბჭოს თავმჯდომარის, ირაკლი ბურდულის კითხვაზე, სურდა თუ არა ვინმეს რაიმეს დამატება, დაწესებულების წარმომადგენელმა (მოწვეული პედაგოგი) ისურვა კომენტარის გაკეთება. მან თქვა, რომ იზიარებს ყველა რეკომენდაციას, რომელიც ექსპერტებმა წარმოადგინეს. მან ხაზი გაუსვა რეკომენდაციების ღირებულების მნიშვნელოვნებას. გამოთქვა აზრი, რომ თავადაც მიიღებდა სილაბუსების შემუშავებაში მონაწილეობას და განახორციელებდა ცვლილებებს, რათა პროგრამამ წარმატებულად იფუნქციონიროს. აღნიშნა, რომ გააჩნია 10 წლიანი პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება, რაც მისი აზრით, დაეხმარება სტანდარტის შესაბამისი სილაბუსების შემუშავებაში.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

ასევე, დაეთანხმა ექსპერტთა რეკომენდაციას, რომ საჭიროა აქტიური მუშაობა, სომხურ, აზერბაიჯანულ სკოლებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა იკითხა, ვინმეს ხომ არ ჰქონდა რაიმე შეკითხვა. რაზეც საბჭოს წევრმა დააზუსტა ინფორმაცია, რომ მათთან არის შემოსული ძველი პროგრამა, ამრიგად, აინტერესებდა ქ-ნი თ.-ს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართვის შემდეგ რა ტიპის პროგრამული ცვლილებები მოხდა სწავლების კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ღერძი არის ერთი, თუ როგორ ვიღებთ ტექნიკურ უმცირესობებს. თავად სასწავლო პროცესი კი არის შემოქმედებითი ხასიათის. მან გააკეთა აქცენტი პიროვნულ გამოცდილებაზე, რომ ესეც ფრიად მნიშვნელოვანია.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მისი გადმოსახედიდან, ჩანს ისე, თითქოს იყო რაღაც სტანდარტიზებული პროგრამა, რომელსაც ჰქონდა ხარვეზები, ლიტერატურით, სილაბუსებით და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კუთხით. ახალი გუნდის მოსვლის შემდეგ, როცა ყველა რეკომენდაცია იქნება გათვალისწინებული ამ პროგრამას მიეცემა განვითარების შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ნაწილი პროგრამის ამუშავების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა იკითხა, იყო თუ არა ეს ახალი პროგრამა? რაზეც დაწესებულების წარმომადგენელებმა უპასუხეს, რომ ეს ახალი პროგრამაა, რომელიც გადამუშავების პროცესშია. პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდებოდა, თუმცა მას გაუვიდა ვადა 2019 წლის 25 ივნისს. ახლა მომზადდა ახალი პროგრამა, რომელზეც იყო სწორედ მიმდინარე რეკომენდაციები.

საბჭოს წევრმა მოიყვანა მონაცემები, რომ 121 აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტი ფიქსირდება პროგრამაზე. მან დასვა კითხვა, თუ სად იყვნენ ახლა ეს სტუდენტები, რომელ პროგრამაზე სწავლობდნენ. სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ეს 121 სტუდენტი აკრედიტირებულ პროგრამაზე სწავლობდნენ. აქედან 50-მა დაძლია ბარიერი და სწავლა ბაკალავრიატის საფეხურზე გააგრძელეს, ხოლო სხვებმა, რომლებმაც ვერ გადალახეს ბარიერი, სტატუსი შეუჩერდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სხდომაზე მიმდინარე დისკუსია ეხებოდა 29 ოქტომბრის მდგომარეობით არსებულ სილაბუსებს, რის შემდეგაც მოხდა მათი გადამუშავება და ახალი სილაბუსები საბჭოს წევრებს არ უნახავთ.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგების შემადგენლობა შეიცვალა, თავად სილაბუსები დარჩა იგივე. რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა საკითხის რეზიუმირება და ჩამოაყალიბა აზრი, რომ ძველ სილაბუსებთან მუშაობის დროს, როცა იყო მაშინდელი აკადემიური პერსონალი, გამოიკვეთა ხარვეზები სილაბუსებში, რაც ჩაიწერა მაშინდელი ვიზიტის შემდგომ რეკომენდაციებში. ამ ეტაპზე, დღესდღეობით, როცა ადგილზე არის ახალი აკადემიური პერსონალი და საუბარია სილაბუსებში ლიტერატურის ჩამატებაზე და განახლებაზე, ეს რეკომენაციები გათვალისწინებული იქნება. ამ რეზიუმეს დაეთანხმა საბჭოს წევრიც.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა ექსპერტებს, რომ თუკი ძველი აკადემიური პერსონალი დარჩებოდა, ამ შემთხვევაში მოგვარდებოდა თუ არა სილაბუსებთან დაკავშირებული პრობლემები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განაცხადა, რომ პროგრამა საერთო ჯამში დადებითი ხასიათის შედეგების მიხედვით შეფასდა და საბჭოს თავმჯდომარეს სთხოვა, რომ გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ ამ ეტაპზე ეს პროგრამა არ ხორციელდებოდა. მათი აზრით მოხდებოდა კორექტირება სანამ პროგრამა განხოციელდებას დაიწყებდა.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ პროგრამას გააჩნდა ერთი ხარვეზი, რომელიც შესაძლოა დადებითადაც და უარყოფითადაც შეგვეფასებინა, იმ გუნდს, რომელიც ახორციელებდა ამ პროგრამას თავად ჰქონდა გაურკვეველი ხასიათის დიდაქტიზებული მასალა შემუშავებული, რომლის სრულად ნახვის საშუალება არც ჰქონიათ წევრებს და მხოლოდ თითო ფურცელი მიაწოდა უნივერსიტეტმა.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

ეს მალასა არ იყო აპრობირებული. რეკომენდაციების სრულად გათვალისწინების შემთხვევაში აკრედიტაციის მინიჭება შესაძლებელია საბჭოს მხრიდან.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ არსებულმა განხილვებმა მასში დაბნეულობა გამოიწვია. იგი დაინტერესდა თუკი ახალი აკადემიური პერსონალი გადაწყვეტს არ დარჩეს, მაშინ ვიზე იქნება ექსპერტთა შეფასების შესრულება დამოკიდებული.
საბჭოს წევრმა შეკითხვას უპასუხა, რომ დაწესებულება თუკი გაითვალისწინებდა რეკომენდაციებს, მას მიენიჭებოდა აკრედიტაცია, ხოლო ამ რეკომენდაციებს რომელი აკადემიური გუნდი განახორციელებდა, ამაზე პასუხისმგებლობას ექსპერტები არც თავის თავზე იღებდნენ და არც თავად უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს აკისრებდნენ, მთავარი აქ მაინც პროგრამის გამართულობა გახლავთ.
უნივერსიტეტის რექტორმა, განაცხადა, რომ გუნდი იღებს პასუხისმგებლობას, რომ მათი მუშაობის ქვეშ, სანამ ეს პროგრამა იარსებებს მათი ხელშეწყობით იქნება ყველა ის რეკომენდაცია გათვალისწინებული.
საბჭოს წევრმა თქვა, რომ მას ორი კითხვა ჰქონდა. პირველი - სტანდარტების ჩამონათვალში ჩანს, რომ ყველაფერი მეტწილად შესაბამისობაშია ან სრულად შესაბამისობაშია, ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით. ამრიგად, რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხი, რაც წყვეტს იმას მიიღოს თუ არა პროგრამამ აკრედიტაცია, ხოლო მეორე კითხვა შეეხებოდა იმ 71 სტუდენტს, ვისაც სტატუსი აქვს შეჩერებული, რა მოლოდინები აქვთ მათ.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ახალგაზრდების უმეტესობა თავის ქვეყანაში იმყოფება და ელოდება, რომ აღიდგინონ სტატუსი და გააგრძელონ სწავლა. ხოლო რაც შეეხება პირველ კითხვას აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი აღჭურვილია კარგი ინფრასტრუქტურით, ასევე აქვს რესურსი, რომ სურვილისა და მონდომების შემთხვევაში ადვილად დაძლიონ ის ხარვეზები, რაც ვიზიტისას გამოიკვეთა, სწორედ ამიტომ არის ასეთი შეფასება გაკეთებული ექსპერტების მიერ.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში, 27 მუხლის მე-11 პუნქტში წერია - „ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება აკრედიტაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა სააკრედიტაციო ვიზიტის შემდეგ". ის ინფორმაცია კი, რომელიც ეხება ახალ აკადემიურ გუნდს, რომელმაც უნდა განახორციელოს ხარვეზების აღმოფხვრა პროგრამაში, ამ გუნდის შესახებ ინფორმაციას საბჭოზე იგებენ მისი წევრები, რაც ამ დებულების მიხედვით არის ისეთი გარემოება, რომელიც მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული. ამრიგად, ისმის კითხვა, თუ როგორ უნდა მოიქცეს საბჭო ასეთ შემთხვევაში?
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოხდა მხოლოდ რამდენიმე აკადემიური პერსონალის შეცვლა, ხოლო დანარჩენი ჯგუფი რჩება ადგილზე.

სათათბირო შესვენება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
დაწყების დრო 15:58
დამთავრების დრო 16:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მილენიუმი სასწავლო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 თვით ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, მე-2 სტანდარტი-სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა და მე-4 სტანდარტის კომპონენტები- 4.1-ადამიანური რესურსი და 4.3

საბჭოს თავმჯდომარე

მატერიალური რესურსი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

☐ აკრედიტაციის შესახებ
✔ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3[2] პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს მილენიუმი სასწავლო უნივერსიტეტის (ყოფილი შპს ნიუ უნივერსითი და უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია)„ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია 7 თვის ვადით.

2. საკითხი მეორე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ელექტროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[8]	ელექტროინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[9]	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[10]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[11]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[12]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი ელექტროინჟინერიაში

[8] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[9] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[10] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[11] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[12] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

საბჭოს თავმჯდომარე

ბ.ლომაშვილი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[13]	-
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[14]	საქართველო, ქ. თბილისი, 0175, მ. კოსტავას ქუჩა N77, სასწავლო კორპუსი N8
14	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✔ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✔ კი

დიმიტრი გეგენავა - თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას შეხვდნენ უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს, პროფესორ-მასწავლებლებს, ასევე სტუდენტებს და დამსაქმებლებს. მან აღნიშნა, რომ კლასიფიკატორში 0713 კოდი გახლავთ ელექტრობა და ინჟინერია. ხოლო ექსპერტების აზრით, აღნიშნული პროგრამა უფრო შეესაბამება 0719-ის (ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული) აღმწერს, რადგან ნაკლებად კლასიფიცირებული სფეროა. ამ განცხადებაზე, რომელიც რეკომენდაციის სახით იყო მოყვანილი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნიერსიტეტის პასუხი იყო უარყოფითი; ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ წარმოდგენილ პოზიციას. ექსპერტების აზრით, რადგან საგნები არ შეესაბამება კლასიფიკატორის 0713- დეტალური სფეროს მიმართულებას და რადგანაც უნივერსიტეტი უარს აცხადებს კოდის შეცვლაზე, უპრიანი იქნებოდა (ექსპერტების რეკომენდაციაა), რომ არსებული საგნები ჩანაცვლეს ისეთი სასწავლო დისციპლინებით, რომელიც ამ კოდთან (სფეროსთან) მოდის შესაბამისობაში. შეუსაბამობა, ძირითადად, პირველ და მეორე სტანდარტთან იყო. მაგალითად: შეუსაბამობა აღინიშნებოდა მიზნებსა და შედეგებში. კერძოდ, საგნების ჩამონათვალს ვერ გაჰყავს სტუდენტი იმ

[13] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[14] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

შედეგებზე, რომლებიც მითითებული იყო საბაკალავრო პროგრამის გავლის შემთხვევაში. ამრიგად, რეკომენდაციაში ექსპერტებმა დააფიქსირეს მოსაზრება, რომ დაემატოს ძირითადი საგნები, რომელიც იქნება ადეკვატური საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებაში. ელექტრო ინჟინერიასთან დაკავშირებულმა საგნებმა 70%-იც კი ვერ დააკმაყოფილა, ანუ საგნები ცდომილებაში იყვნენ პროგრამასთან.

საბჭოს თავმჯდომარე გამოთქვამდა გაკვირვებას, რომ როდესაც წარმოდგენილია კარგი აკადემიური პერსონალი და ამ დროს ძირითადად ხარვეზები მოდის კლასიფიკატორთან აცდენაში, რატომ უნდა გახდეს ამდენად რთული, რომ კლასიფიკატორის შესაბამისად მოხდეს საგნების არჩევა და განაწილება. მან მიმართა უნივერსიტეტის ხარისხის სანსახურის უფროსს ამ შეკითხვით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს პროგრამა შემუშავდა სან დიეგოს უნივერსიტეტთან ერთად. ჩართულები იყვნენ, როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის, ასევე სან დიეგოს უნივერსიტეტის თანამშრომლები. პროგრამამ გაიარა ბევრი ეტაპი და დაიმსახურა მოწონება, როგორც ფაკულტეტზე დარგის თანამშრომლებისგან, ასევე საერთაშორისო დონეზე. ამრიგად, ფაკულტეტის ხარისხი ნაკლებად იყო ჩარეული ამ მხრივ, რადგანაც მას არ გააჩნდა ამ ვიწრო სფეროში მსგავსი გამოცდილება. დიდი ბჭობის შედეგად, ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ, უნივერსიტეტმა გადაწყვიტა რომ მიეღო ეს რეკომენდაციები. თუმცა საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ წარმოიშვა კითხვა, თუ რამდენად შეიძლება განვიხილოთ ეს პროგრამა იმ კვალიფიკაციითა და იმ ჭრილში, რაც იყო ექსპერტების მიერ შემოთავაზებული.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სან დიეგოს უნივერსიტეტი აპირებს თბილისის დატოვებას და მისი უცხოენოვანი პროგრამის კვალდაკვალ შემუშავდა სწორედ ეს ქართულენოვანი პროგრამა, რომელსაც ახლა განვიხილავთ (ელექტრო ინჟინერიის პროგრამა). დასძინა, რომ ეს პროგრამა მოწონებულია არა მხოლოდ სან დიეგოს, არამედ ბოსტონის უნივერსიტეტის მიერ. ამ პროგრამის ძირითადი ბირთვი ემთხვევა კლასიფიკატორში მოცემულ კოდს და შესაბამისობაშია. უნივერსიტეტი ხაზს უსვამს, რომ ექსპერტის მოსაზრება, რომ თითქოს სრულ შეუსაბამობაშია მიზნები და შედეგები, უნივერიტეტისთვის გასაკვირი გახლდათ. სწორედ ეს იყო საფუძველი იმისა, რომ უნივერსიტეტი არ ეთანხმებოდა ექსპერტის დასკვნას. ექსპერტთა ვიზიტისა და დასკვნის შემდგომ უნივერსიტეტი დაუკავშირდა სან დიეგოს უნივერისტეტის წარმომადგენლებს და ჰკითხა რამდენად იქნებოდა მისაღები საკვალიფიკაციო ჩარჩოს შეცვლა, რაზეც უნივერსიტეტმა უპასუხა, რომ ეს 0713 და 0719 ერთმანეთს მოიცავდა და არ საჭიროებდა შეცვლას. ამის მიმოწერის დოკუმენტაცია სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა წარადგინა სხდომაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, თუკი ასეთი ხისტი პასუხი გასცა უნივერსიტეტმა ექსპერტების დასკვნას, მაშინ რატომ მისწერა წერილი სან დიეგოს უნივერსიტეტს. საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ძირითად საკითხს - უნივერსიტეტის აზრით, ექსპერტები სწორი არიან ასეთი შეფასებისას თუ არა.

ამ კითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ ეს ორი სფერო არაა იმდენად განსხვავებული და რომ შეიძლება დარჩეს იგივე დეტალურ სფეროში.

საბჭოს წევრმა დაუსვა კითხვა ექსპერტებს, - კლასიფიკატორის არარსებობის შემთხვევაში დაუწერდნენ თუ არა პროგრამას ამ ხარვეზს, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ამ პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტი პროფესიონალად თავის სფეროში.

ექსპერტის აზრით, თუკი კლასიფიკატორის საკითხს გვერდზე გადავდებთ და შინაარსობრივად განვიხილავთ პროგრამას, ის სულაც არ გახლავთ ცუდი.

საბჭოს წევრმა იკითხა, თუ როგორ აისახებოდა დასაქმების კუთხით კლასიფიკატორთან დაკავშირებული ხარვეზი.

საბჭოზე დაიანგარიშეს კრედიტები საგნების მიხედვით. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საბაკალავრო ნაშრომის კრედიტები შეიცავს პრაქტიკას, რომელსაც სტუდენტები გადიან სპეციალურ ობიექტებში.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

დაწესებულების წამომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ რადგან ამ პროგრამამ საერთაშორისო დონეზე მიიღო აღიარება, მაშინ რაიმეს შეცვლა თავიდან დაიწყებდა იმ პროცესს, რომელიც 4-5 წლის განმავლობაში გრძელდება. ამრიგად, რეკომენდაციის მიღებაზე კატეგორიული უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზი ეს გახლდათ. თუმცა, როცა სან დიეგოს უნივერსიტეტიდან მოვიდა პასუხი, რომ პრობლემა არ შეიქმნებოდა თუკი საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისად შეიცვლებოდა კვალიფიკაციის კოდი 0719-ით, მაშინ უკვე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თანახმაა გაიზიაროს ექსპერტთა რეკომენდაცია და შეცვალოს კვალიფიკაციის დასახელება და საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება კვალიფიკაციის დასახელ:ების შესაბამისი იყოს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს პროგრამა იყო კონსორციუმი სან დიეგოსა და სამ საქართველოს უნივერსიტეტს შორის. აღნიშნა ფაქტი, რომ იგივე პროგრამაზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო აკრედიტაცია.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, თეა ნადირაძემ აღნიშნა, 2010 წლიდან დღემდე იყო ბრძანება, რომელიც სხვანაირად ახდენდა კვალიფიკაციების კლასიფიცირებას. 2019 წლის 10 აპრილს დამტკიცდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორი. ამჯერად სისტემა იმყოფება გარდამავალ ეტაპზე ორ დოკუმენტს შორის - ძველი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრული დარგებისა და ახალი კლასიფიკატორით მოცემულ სწავლის სფეროებს შორის, შესაბამისად ამ პროცესში ჩნდება კითხვები და მოსაზრებები. მან ყურადღება გაამახვილა კლასიფიკატორის დეტალური სფეროების აღმწერზე, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს კურიკულუმის ძირითადი სწავლის სფეროს კონტენტი და კვალიფიკაციის დასახელება.

საბჭოს წევრმა დასვა კითხვა, თუ რამდენად არის შესაძლებელი, კვალიფიკაციის ჩარჩოს გათვალისწინებით, რომ მეცნიერების ბაკალავრის სტატუსი მიენიჭოს სტუდენტს ამ პროგრამის გავლის შემდგომ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამა იძლევა იმის საშუალებას, რომ სტუდენტს მიენიჭოს მეცნიერის ბაკალავრის სტატუსი ამ პროგრამის დამთავრების შემდეგ, რადგან პროგრამა ითვალისწინებს შესაბამის სასწავლო კურსებსა და მისი სტრუქტურაც ამ განზრახვითაა აგებული. ამავე დროს პარტნიორი უნივერსიტეტის მხრიდანაც დაფიქსირებულია მოთხოვნა „მეცნიერების ბაკალავრის" მინიჭებაზე.

სათათბირო შესვენება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწყების დრო 17:27 სათ.

დამთავრების დრო 17:45 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" (კვალიფიკაციის კოდით 0719) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასება

კერძოდ, საბჭომ მიიჩნია, რომ პირველი სტანდარტი-საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ნაცვლად „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და მე-2 სტანდარტი-სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა, ნაცვლად „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" საბჭოს მიერ სტანდარტის შესაბამისობის შეფასების ცვლილება გამოიწვია ზეპირი მოსმენისას ექსპერტებისა და დაწესებულების წარმომადგენლების მიერ განმარტებებმა და

საბჭოს თავმჯდომარე

ბულმუნჯოა

პოზიციების ურთიერთშეჯერებამ. კერძოდ, ექსპერტთა მიერ დასკვნაში ასახული შეფასება ეხება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთნ და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალურ სფეროს 0713-ელექტროობა და ენერგიასთან შეუსაბამობა (0713). გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის, საგანმანათლებლო პროგრამების დასახელები განისაზღვრება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის არაკლასიფიცირებულ დეტალურ სფეროებთნ 0719-ინჟინერია და საინჟინრო საქმესთან კავშირში, შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა თანმიმდევრულია, შინაარსი, მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაში იქნება 0719-ის სფეროს ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიასთან.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 1
გადაწყვეტილება

- ☐ აკრედიტაციის შესახებ
- ✔ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
- ☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- ☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3, მე-3[2] პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

3. მესამე საკითხი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[15]	მოდის დიზაინის ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[16]	აკრედიტებული და ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭო 2014 წლის 13 დეკემბრის N287;
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[17]	სამოსის დიზაინი
6	უმაღლესი განათლების საფეხური[18]	ბაკალავრიატი

[15] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[16] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[17] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[18] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[19]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიზაინის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[20]	-
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[21]	საქართველო 0171, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა N68, სასწავლო კორპუსი N1
14	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

დიმიტრი გეგენავა - თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

თავმჯდომარე თხოვს ექსპერტებს, რომ გამოთქვან მოსაზრებები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განმარტა, რომ რამდენიმე წლის წინ ტექნიკურ უნივერსიტეტში იყო პროგრამა სამოსის დიზაინი, რომლის ერთგვარი გაგრძელებაც არის ეს პროგრამა. მან აღნიშნა, რომ იმ პროგრამის აკრედიტაციაზეც ბრძანდებოდა ექსპერტად და ეს კარგი შედარების საშუალებას აძლევდა. ექსპერტი გამოთქვამდა კმაყოფილებას, რომ წინა პროგრამის რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო ახლანდელ პროგრამაში, რომელსაც ერთგვარ „მემკვიდრეს" უწოდებს. მან ასევე, აღნიშნა, რომ არის ამ სფეროში მომუშავე ტექნოლოგების დიდი დეფიციტი, ამრიგად, ეს

[19] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[20] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[21] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

პროგრამა საკმაოდ დროული იყო საქართველოსთვის, რადგან მას სწორად ჰქონდა შრომის ბაზარზე თავისი „ნიშა" ნაპოვნი. პროგრამის შემუშავების დროს ასევე ჩატარდა კვლევა, რომელიც ეყრდნობოდა შრომის ბაზრის მდგომარეობას მოდის დიზაინის კუთხით და ამრიგად, ექსპერტი ხაზს უსვამს, რომ იგი კმაყოფილია ამ სწორი მიგნებისთვის. ვიზიტი შედგა 2019 წლის 27 ნოემბერს, რომელიც გრძელდებოდა ერთი დღე. მისი აზრით, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დანადგარებს და პრაქტიკულ კომპონენტს, რადგან მოდის დიზაინი მხოლოდ თეორიული დატვირთვის ვერ იქნებოდა, შესაბამისად ექსპერტებმა დიდი ინტერესი გამოთქვეს, სასწავლო პრაქტიკის მხრივ. ექსპერტი აღნიშნავს, რომ ახალი კლასიფიკატორის დამტკიცება, რომელიც ყველასთვის სიახლეა და საჭიროებს გარკვეულ დროს მასთან შესაგუებლად, წარმოშობს იმ ხარვეზებს, რომლებიც ჰქონდათ მხედველობაში ექსპერტებს რეკომენდაციების მიცემისას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნები და შედეგები, ლექტორ-მასწავლებლებთან და ხარისხის სამსახურთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ საკმაოდ გააზრებული იყო, თუმცა სილაბუსებში ეს ნაკლებად ჩანდა, ხოლო სწავლის შედეგების ნაწილი საჭიროებდა დახვეწას და უკეთეს ფორმულირებას.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამაზე მოხვედრის წინაპირობას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა პროგრამაზე (სამოსის დიზაინზე) საერთოდ არ იყო ნახსენები პროგრამაზე მოხვედრის წინაპირობა, რაც სახელმწიფო პროგრამისთვის ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანია. ამრიგად, წინა შემთხვევაში მიცემული რეკომენდაცია არის გაწერილი, რომ პროგრამაზე მოსახვედრად საჭიროა გასაუბრება და პორტფოლიო. ექსპერტი აღნიშნავს, რომ რეკომენდირებულია გასაუბრებისა და პორტფოლიოს შეფასების კრიტერიუმების უფრო მკაფიოდ გაწერა და აბიტურიენტისთვის ამ კრიტერიუმების გაცნობა.

რეკომენდირებულია ასევე, რომ გამოიყოს ძირითადი სასწავლო კურსები, რაც უკეთ უზრუნველყოფს დარგის სპეციფიკის უკეთ ასახვას. ასევე რეკომენდირებულია ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით კურსის გამდიდრება.

რეკომენდირებულია უფრო მკაფიოდ გაიწეროს საბაკალავრო ნაშრომის კვალიფიკაციის მოთხოვნები. კერძოდ, ექსპერტი აღნიშნავს, რომ შეფასების კრიტერიუმები არ იყო დაკონკრეტებული. დაცვის ფორმატშიც მეტი გამჭვირვალობაა საჭირო.

ასევე, რეკომენდირებულია რომ ხელი შეუწყონ სტუდენტების სწავლის შემდგომ დასაქმების პროცესს.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია:

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, მადლობა გადაიხადა დადებითი შეფასებისთვის.

მან აღნიშნა, რომ პირველ რეკომენდაციას ისინი ეთანხმებიან. სამკომპონენტიანი პროგრამის სისტემა მათთვის სიახლე გახლდათ და ამრიგად, შესაძლოა ყოფილიყო მცირე ხარვეზები, რაც ექსპერტებს ჰქონდათ რეკომენდაციების სახით. თავის მხრივ, უნივერსიტეტი იზიარებს ამ რეკომენდაციას და დახვეწს სილაბუსებს.

მესამე რეკომენდაცია, სადაც აღნიშნულია, რომ მკაფიოდ გამოიყოს ძირითადი კურსები, ესეც მისაღებია უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის და ისინი მზად არიან გამოასწორონ ხარვეზი.

სილაბუსებისა და ლიტერატურის დამუშავებაზე უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე არსებული ლიტერატურა უზრუნველყოფს ბაკალავრიატის სტუდენტს, თუმცა ახალი სახელმძღვანელოების შემუშავება დინამიკური პროცესია და მუდამ მიმდინარეობს. პრაქტიკულად, ამაშიც თანხმობას აცხადებს უნივერსიტეტი.

კარიერულ განვითარებას, რაც შეეხება, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ აქვთ ცენტრი, რომელიც ცნობადობის ამაღლებაზე მუშაობს, პიარის კუთხით. ისინი ასევე მზაობას გამოხატავენ, რომ იმუშაონ ამ საკითხზე უფრო აქტიურად.

პორტფოლის შეფასების კრიტერიუმს რაც შეეხება ამაზე პასუხი პროგრამის ხელმძღვანელმა გასცა. მან მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არქიტექტურისა და ხაზვის ფაკულტეტი ტექნიკურ უნივერსიტეტში მრავალწლოვანია და მათ აქვთ დიდი გამოცდილება, თუ

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

როგორ ჩაატარონ გასაუბრება და შეაფასონ პორტფოლიო. იქმნება 3 თვიანი საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც ყველა დაინტერესებულ აბიტურიენტს აძლევს რჩევებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტი მაინც გაითვალისწინებს ამ რეკომენდაციას.

რაც შეეხება საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს, ესეც გათვალისწინებული იქნება უნივერსიტეტის მიერ.

პროგრამის ხელმძღვანელისთვის მისაღებია პროგრამის მეტი გამჭვირვალობის მოთხოვნა ექსპერტების მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან ერთდროულად. მან აღნიშნა, ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს თავისი მისია, რამდენად შეესაბამება ეს პროგრამა უნივერსიტეტის მისიას. ასევე საბჭოს წევრმა დაამატა ამ კითხვას, თუ რატომ არ ფიგურირებდა სახელწოდებაში „ტექნოლოგიები", რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა რაღაც დონეზე არ აცდენოდა უნივერსიტეტის მისიას.

მოდის დიზაინის ტექნოლოგიები ჰქვია პროგრამას, აღნიშნა უნივერსიტეტის წარმომადგენელმა. ასევე აღინიშნა, რომ მხოლოდ დიზაინის აღნიშვნა მათ კონკურენტუნარიანობას ძალიან დააქვეითებდა და ისინი ვერც კი გაუწევდნენ კონკურენციას ხელოვნების აკადემიას, ხოლო ბაზრის კვლევის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ტექნოლოგების არსებობა ამ სფეროში ძალიან მცირე იყო და მოთხოვნა კი მაღალი. ამრიგად, გადაწყდა რომ პროგრამა ყოფილიყო მოდის დიზაინის ტექნოლოგიების პროგრამა.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ პროგრამა ანიჭებს დიზაინის ბაკალავრის ხარისხს, მაშინ როცა ჩვენ ვსაუბრობთ მოდის დიზაინსა და ტექნოლოგიებზე, რამდენად შესაბამისობაშია მიზანი, შედეგი, შინაარსი და მისანიჭებელი კვალიფიკაცია ერთმანეთთან.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აბსოლუტურ შესაბამისობაშია. ეს გახლავთ სახელოვნებო პროგრამა, რომელიც მოდის დიზაინს ეხება, მიუხედავად იმისა, რომ ნახსენებია „ტექნოლოგიები". შრომის ბაზარი ითხოვს ინტეგრირებულ პროფესიებს, რაც ჩვენი პროგრამით იქნება შესაძლებელი, რომ მიაღწიოს სტუდენტმა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ მოდის დიზაინის პროგრამასა და მოდის დიზაინის ტექნოლოგიების პროგრამას შორის სიტყვა „ტექნოლოგიების" ხსენებამ არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ საუბარი არაა შემოქმედებით სფეროზე. ეს გარკვეულწილად დიზაინის ბაკალავრია, უბრალოდ გაძლიერებული აქვს კონსტრუქტორის უნარები.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ რადგან ექსპერტთა დასკვნები განიხილება საერთაშორისო დონეზე, ამრიგად, ბევრად მეტი პასუხისმგებლობა არის საჭირო. ხოლო ახალი კლასიფიკატორის შემუშავებამ ცხადია ბევრი კითხვა გააჩინა. რაც შეეხება კითხვას, მისი დაზუსტებისთვის აღნიშნავს, რომ ხელოვნების სფეროდან არის აღებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია, რომელიც არის მოდის დიზაინის ბაკალავრი და იგი განეკუთვნება 01 კოდს. იგივე ტექნოლოგიების მიმართულება არის ინჟინერიის სფეროშიც. კითხვის შესაბამისად, უფრო ინჟინერიის სფეროს განეკუთვნება წარმოდგენილი კურიკულუმი თუ უფრო ხელოვნების სფეროს, ამაზე პასუხის გასაცემად მოშველიებული იქნა კლასიფიკატორი თავისი სფეროების აღწერით. რაც იყო წარმოდგენილი მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირებით განეკუთვნება ხელოვნების სფეროს. ეს ნიშნავს იმას, რომ 240 კრედიტიდან არანაკლებ 120 კრედიტი უნდა იყოს შემდეგ შინაარსთან კავშირში, - როგორიცაა ტექსტილი, სამოსისა და ინტერიერის შექმნისათვის განკუთვნილი საგნები. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა თქვეს, რომ უფრო მეტი კრედიტიც შეესაბამებოდა ასეთ საგნებს. ამრიგად, თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ ეს არის ხელოვნების სფეროს შესაბამისი კურიკულუმი და არა ინჟინერიის სფეროს კურიკულუმი. ასევე აღნიშნა, რომ კითხვა შესაძლოა გაჩნდეს ასევე პროგრამის დასახელებასთან დაკავშირებით. პროგრამას ეწოდება „მოდის დიზაინის ტექნოლოგია" , ხოლო ეს დასახელება არ ასახავს ხელოვნების სფეროს და რამდენად არის დასახელება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია ერთმანეთთან შესაბამისობაში. გარდა ამისა,

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

კლასიფიკატორის კონტექსტში, გადახედეს ტექნოლოგიების ინჟინერიის მხრივ რა მინაწერი გააჩნიათ (ეს არის 0723). პროგრამის დასახელება ეხმიანება უფრო ინჟინერიის სფეროს (0723-ს), ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კურიკულუმის შინაარსი კავშირში არის ხელოვნების სფეროსთან.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამაზე მუშაობისას მხედველობაში მიიღეს დასავლეთის გამოცდილება და ეს ნიუანსები, რაც თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ მათთვის ცნობილი იყო. ისინი აცხადებენ, რომ ორიენტირებულები არიან ისეთი კადრების შემუშავებაზე, რომელიც დააკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი საგანი, კერძოდ, დარგის მენეჯმენტი, ძალიან ზოგადია. საგანში უფრო კომპლექსურად უნდა ჩანდეს კონკრეტულ დარგთან დაკავშირებული პრაქტიკული მაგალითები.

საბჭოს წევრმა დასვა შეკითხვა, რომ სტუდენტები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი კარიერულ სერვისებთან დაკავშირებით და როგორ წარმოუდგენიათ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს კარიერული სერვისების მენეჯერი რა კუთხით და როგორ უნდა უწევდეს ინფორმირებას სტუდენტებს და სად დაფიქსირდა ეს ყოველივე ინტერვიუს დროს. ასევე ჰქონდა მეორე კითხვა, რომ საერთაშორისო დონეზე თუ აქვთ შესწავლილი რამდენად ხდება კარიერულად კვალიფიციური მომზადება და რა განსხვავებული ფაქტორებია, რა მოთხოვნაა შრომის ბაზარზე. ასევე თვითშეფასების ანალიზიდან გამომდინარე, რით ახსნის უნივერსიტეტი სტუდენტთა მიღების ასეთ შემცირებას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განაცხადა, რომ სტუდენტებთან გასაუბრებამდე ეს კითხვა დაუსვეს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, თუ არის უნივერსიტეტში სტუდენტის კარიერულად განვითარებისა და შემდგომი დასაქმების საკითხის მოგვარების დეპარტამენტი. უნივერსიტეტისგან მიიღეს პასუხი, რომ არსებობს მსგავსი დეპარტამენტი, თუმცა სტუდენტებს რომ დაუსვეს ანალოგიური კითხვა მათ იცოდნენ, რომ სადღაც აქვს უნივერსიტეტს ეს დეპარტამენტი, თუმცა ხშირად ამ დეპარტამენტისგან ვერ იღებდნენ ინფორმაციას.

საბჭორს წევრმა აღნიშნა, რომ საჭიროა სტუდენტების ინფორმირება და ეს დეპარტამენტი უნდა ფუნქციონირებდეს უკეთ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაცვლითი პროგრამებით დაწყებული, სტაჟირებით დამთავრებული ნებისმიერი ინფორმაცია უპირველესად აისახება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და პირად გვერდზე. ხელმისაწვდომობა არის, როგორც ვებ-საიტზე, ასევე განცხადების დაფებზე.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა დაამატა, რომ წელიწადში ორჯერ თავად ხვდება სტუდენტთა ჯგუფებს და აწვდის მათ ინფორმაციას ყველა სერვისების შესახებ. იგი მოსაზრებას გამოთქვამს, რომ ეს ინტერვიუ ისეთი სტუდენტებისგან აიღეს ექსპერტებმა, რომლებიც ამ შეხვედრებს არ დასწრებიან. თუმცა თავის მხრივ, უნივერსიტეტი ეცდება, რომ მიაწვდინონ ინფორმაცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამა ამზადებს პროფილის სპეციალისტს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ აქვთ პროფესიული პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები სწავლობენ ტყავთან მუშაობას, კერავენ ტყავის საფულეებს, ჩანთებსა და ფეხსაცმელს. თუმცა ეს არის საკმაოდ ვიწრო მიმართულება. აქ არ არის საუბარი ფართო აზროვნებაზე და სადიზაინერო გადაწყვეტილებების მიღებაზე დამყარებულ საქმიანობაზე, ეს არის ვიწრო მიმართულება და პროგრამა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა ასევე, რომ პირველ წელს როცა გამოცხადდა მიღება პროგრამაზე ჰქონდათ 15 მისაღები ადგილი და 14 სტუდენტი მოვიდა. შემდეგ ორი წელი აღინიშნებოდა კლება. შემდეგ ორი წელი აღარ გამოცხადდა მიღება. ანალიზის საფუძველზე უნივერსიტეტის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ პიარიც და ინფორმირებულობაც აკლდა ამ პროგრამას, რაც გახდა მიზეზი სტუდენტთა მისაღები რიცხვის კლებისა. როცა აბიტურიენტი

ხედავდა, რომ სამოსის დიზაინი არის აკადემიაში და ტექნიკურ უნივერსიტეტშიც, სავარაუდოდ იგი პრიორიტეტს აკეთებდა აკადემიაზე. სწორედ ამიტომ, ტექნიკური უნივერსიტეტი შეეცადა გაეძლიერებინა პროგრამის ტექნიკური კომპონენტი და მოიწვია ბევრი დამსაქმებელი, რათა კარიერული ზრდისა და დასაქმების საკითხი უფრო ძლიერი ყოფილიყო. გაფორმდა მემორანდუმი ორგანიზაციასთან, რომელიც საშუალებას აძლევს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტს, ამ პროგრამაზე ყოფნის პერიოდში გაიაროს სტაჟირება პოლონეთის მსხვილ საწარმოებში, რომელიც იქნება ასევე ანაზღაურებადი ხასიათის.

სათათბირო შესვენება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
დაწყების დრო 18:35
დამთავრების დრო 18: 45

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭენის საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასება

კერძოდ, მე-2 სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება
☐ აკრედიტაციის შესახებ
✔ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ
საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

4. მეოთხე საკითხი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ლოგისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[22]	ლოგისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[23]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 13 დეკემბრის N282
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[24]	ლოჯისტიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური[25]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[26]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო ლოგისტიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[27]	-
11	სწავლების ენა	ქართული და გერმანული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[28]	საქართველო 0175, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა N68, სასწავლო კორპუსი N1
14	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✔ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✔ კი

დიმიტრი გეგენავა - თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე

[22] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[23] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[24] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[25] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[26] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[27] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[28] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, არის თუ არა დაფიქსირებული რეკომენდაციები. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ ამ პროგრამაზე არ არის რეკომენდაციები დაფიქსირებული. შემდგომ თავმჯდომარე კითხულობს რჩევებს.

ექსპერტთა ჯგუფი საუბრობს რჩევებზე, გერმანულ პარტნიორ სასწავლებლებთან, რომ შეიქმნას მულტიდისციპლინარული სენატორი, სადაც გაწერილი იქნება მთელი რიგი ლოგისტიკური პროცედურები თავისი ფორს-მაჟორებით, რაც სტუდენტს მისცემს საშუალებას, რომ უკეთ შეითავსოს მასალა და განვითარდეს სფეროში. სტუდენტების ინტერესის გაზრდა საერთაშორისო ლოჯისტიკის მიმართულებით უპრიანი იქნებოდა, - აღნიშნავს ექსპერტი. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას დაეთანხმენენ დამსაქმებლებიც, რომელთა საუბრის დროსაც გამოიკვეთა კადრების საჭიროება აღნიშნული მიმართულებით. გამომდინარე აქედან, მიიჩნიეს, რომ საჭიროა როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტებისთვის საერთაშორისო გამოცდილების მიღება. მსგავსი ღონისძიებები (გამოფენები) ხშირად იმართება გერმანიაში, ჰოლანდიაში და სხვა ევროკავშირის ქვეყნებში. სასურველია ბიუჯეტში გაიწეროს, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების საერთაშორისო გამოფენებზე და კონფერენციებზე დასწრების ხარჯები. ინფრასტრუქტურა, მიუხედავად იმისა, რომ მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, საჭიროებს გაუმჯობესებას. ასევე ელექტრონული რესურსების გადამუშავებასა და გამოცემას.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რეკომენდაციები არ არის, თუმცა მადლობას იხდიან რჩევებისათვის, რომლებიც ექსპერტებმა გასცეს. იგი ასევე აღნიშნავს, რომ ეს პროგრამა ერთ-ერთი ძლიერია საერთაშორისო მიმოსვლისა და განვითარების კუთხით, რადგან მჭიდრო კავშირი აქვს გერმანიასთან, ავსტრიასთან და ა.შ. ასევე, ხშირია მიმოსვლა, როგორც მათი ვიზიტი, ასევე უნივერსიტეტის წარმომადგენლებისა და სტუდენტების ჩასვლა და ვიზიტი მათთან. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ადაპტირებული გარემო მოწყობილია და გაუმჯობესებულია, გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტმა 15 პროგრამა დაიმატა ავტორიზაციით. ამის ფარგლებში მათ მიიღეს ეს რეკომენდაციები და ამ ეტაპზე შესრულებულია ეს რეკომენდაციები. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი მუშაობს ამ მიმართულებით და მათთვის რჩევები აბსოლუტურად მისაღებია.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია და დისკუსია

დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, აღნიშნა, რომ მადლიერია საფუძვლიანი და სწორი რჩევებისთვის. საერთაშორისო დონეზე, მათ აქვთ ორი მოდული, რომელიც მოიცავს ინტერმოდალურ, საერთაშორისო ვაჭრობასა და ლოგისტიკის სამართალს. უნივესიტეტმა განიხილა ეს საკითხი და ეცადა, რომ ეს თემები ამოეწიათ წინ. ივნისის დასაწყისში უწევთ ვიზიტი, როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გერმანიაში, ასევე გერმანიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს საქართველოში, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ამ საკითხს. ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტების ვიზიტის შემდეგ მათ განახორციელეს თვენახევრიანი გადამზადება 4 აკადემიური პერსონალის გერმანიასა და იტალიაში. მათ აქვთ Erasmus+ - ის ფარგლებში კიდევ ერთი საერთაშორისო თანამშრომლობა, რათა აკადემიურმა პერსონალმა უცხოეთში ვიზიტის ფარგლებში აიმაღლეს სასწავლო პრაქტიკა და დარგში არსებული სიახლეები ჩამოიტანს ფაკულტეტზე პროგრამის გასაუმჯობესებლად. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დეკემბრის ბოლოს

შემოუვიდათ (Erasmus + -ის გრანტით შეიძინა უნივერსიტეტმა) უახლესი ლაბორატორია ტრანსპორტის მოდელირებისა და სიმულაციის, რომელიც, მისი თქმით, უნიკალურია საქართველოში. შემდგომი 2 თვის განმავლობაში იგეგმება სპეციალური მოდელირებისა და სიმულაციის პროგრამის შემენა. მზადაა ლაბორატორია, აღჭურვილია სრულად. მიმდინარეობს ასევე არსებული პროგრამების ინსტალაცია. შესაბამისად ეს რჩევაც იქნება გათვალისწინებული, - დასძინა პროგრამის ხელმძღვანელმა.

საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რომ პროგრამის გაცნობის შემდეგ, რომელსაც ეწოდება „საინჟინრო ლოგისტიკა", გაუჩნდა ბუნდოვანი წარმოდგენა იმისა, თუ კონკრეტულად ვის ამზადებს ეს პროგრამა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა დააკონკრეტა, რომ პროგრამის სახელია „ლოგისტიკის პროგრამა", ხოლო მისი კვალიფიკაცია გახლავთ „საინჟინრო ლოგისტიკა".

ექსპერტმა გასცა მას პასუხი, რომ კვალიფიკაცია გამომდინარეობს ახალი ჩარჩოდან. კერძოდ, პროგრამა ამზადებს ინჟინერიის სფეროში ლოგისტიკის სპეციალისტს.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ „სამართლებრივი საკითხები ლოგისტიკაში" - საგნის გაცნობისას, მისი აზრით, ცოტა არასწორად არის შეტანილი საკითხები და ისეთი საკითხები, როგორიცაა ფორს-მაჟორი, მიწოდების პირობები, არაა საგანში. ასევე წევრმა განიხილა საგანი „ბიზნესის საფუძვლები", რომელშიც საგნის დასახელებიდან გამომდინარე, კომპლექსურად უნდა იყოს განხილული ბიზნესთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რაც არ ფიქსირდება. საერთოდ არაა ფაკულტეტზე საგანი „ოპერაცია და მენეჯმენტი", რაც, საბჭოს წევრის აზრით, აუცილებელია სტუდენტისთვის. ასევე, სასურველია, თუკი „ფინანსური აღრიცხვა" იქნება ჩადებული საგნად პროგრამაში. სასურველია მოხდეს მენეჯერული აღრიცხვის ელემენტების შეტანა საგანში, რადგან ფაქტობრივად საუბარია ლოგისტიკის მენეჯერებზე, რომლებიც უნდა ეუფლებოდნენ ამ ყოველივეს პროგრამის ფარგლებში. პროგრამას ასევე აქვს საგანი „ეკოლოგიური გეოგრაფია", თუკი ამ ყოველივეს ზოგადად განვიხილავთ კარგად არის თავად საგანში აღწერა მოსახლეობაზე და ემიგრაციაზე, მაგრამ თუ ლოგისტიკის კუთხით განვიხილავთ ამ საგანს, მაშინ ჯობია ამ სფეროს კუთხიდან იყოს საგანი წარმოდგენილი. ასევე მას ჰქონდა ერთი კითხვა, რომ გერმანელებთან ერთად შექმნილ პროგრამას, რატომ არ ჰქონდა ინგლისური ენის საგანი, თუნდაც არჩევითად მაინც. მან გაამყარა ეს კითხვა იმ მოსაზრებით, რომ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებზე სტუდენტს აუცილებლად დასჭირდებოდა საბაზისო ინგლისურის ცოდნა მაინც, თუნდაც ლოგისტიკის ტერმინოლოგიურ დონეზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს საგანი, რომელიც გახლავთ „მეცნიერული კვლევის საფუძვლები", ეს საგანი იწყება მესამე სემესტრიდან. საგანი არ არის ზოგადი, ეს არის ლოჯისტიკასთან დაკავშირებული კვლევითი აქტივობები. რაც შეეხება, „ოპერაციების მენეჯმენტს", იგი გაფანტულია რამდენიმე მნიშვნელოვან საგანში, მაგალითად: „ლოჯისტიკის მენეჯმენტი და კონტროლინგი". იგი აღნიშნავს, რომ კონტროლინგი არის ზუსტად პროცესების მონიტორინგი და ეფექტურობის შეფასება. „სასაწყობო სისტემების დაგეგმარება 1", „სასაწყობო სისტემების დაგეგმარება 2" მთლიანად ლოჯისტიკურ ოპერაციებზეა. „საწარმო რესურსების მართვა" არის ასევე უნიკალური პროგრამა, რომლის სავარჯიშოები აწყობილია კონტროლინგზე და ოპერაციების მენეჯმენტზე. რაც შეეხება ბიზნესის ადმინისტრირებას, ამ საგანზეა მოდის ძირითადად რომ სტუდენტს ჰქონდეს ზოგადი წარმოდგენა მეწარმეობაზე (იგი პირველ კურსზე ისწავლება). რაც შეეხება გეოგრაფიას, ეს საკითხი ჩაშლილია ეკონომიკაში და მარტივ ლოგისტიკაში. ეს საგანი სტუდენტს ასწავლის ლოგისტიკისა და წარმოების როლს ეკონომიკაში, ეხმარება მას ეკონომიკური პერსპექტივების წარმოდგენაში. ინგლისური ენის საგანს რაც შეეხება, უნივერსიტეტის წარმომადგენელი ეთანხმება საბჭოს წევრს და ფიქრობს, რომ გასათვალისწინებელია. პროგრამის ფარგლებში, ბოლო წელს ამ პროგრამის სტუდენტები მობილობით მიდიან გერმანიაში, ამრიგად, ეს რჩევა გასათვალისწინებელია პროგრამისათვის.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელიც აღნიშნავს, რომ მისი პირველადი კვალიფიკაცია არის იურისპუდენცია, აღნიშნა, რომ სილაბუსი არის შექმნილი გერმანელის მიერ, რომელსაც საზღვაო და სარკინიგზო გადაზიდვებში მოღვაწეობის ოცწლიანი პრაქტიკა გააჩნია. სილაბუსის მთელი პრაქტიკული ნაწილი მოიცავს გადაზიდვების ადმინისტრირებასა და დოკუმენტაციის შესწავლას. გერმანიამ ჩათვალა, რომ ვინაიდან პრაქტიკულად ერთადერთი საგანია სამართლის კუთხით ამ პროგრამაში, სასურველია იგი დარჩეს, რათა გარკვეული შთაბეჭდილება შეუქმნას სტუდენტს გადაზიდვებისა და საბაჟო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ საავიაცო ტექნიკასთან დაკავშირებით არცერთ სილაბუსში არ არის საუბარი. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ სასწავლო კურს ან სახელი უნდა შეეცვალოს, ან მთლიანად დასახვეწია.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს ახალი სილაბუსია და თვითონ სილაბუსის შინაარსიდან გამომდინარე პრაქტიკულად ძალიან ახლოს არის გერმანულ პროგრამასთან. ეს არის ორდიპლომიანი პროგრამა და იყო გერმანული მხარის მოთხოვნა, რომ მინიმუმ 80-90 პროცენტი ემთხვეოდეს მის გერმანულ ვერსიას, რათა არ შეიქმნას შემდგომ რაიმე სახის პრობლემა. პარტნიორი უნივერსიტეტი არის 5 კილომეტრში ბერნის ახალ აეროპორტთან, რომლის გახსნასაც წელს ვარაუდობენ და მათ ერთ-ერთი მსხვილი დაფინანსება მიიღებს საავიაციო მენეჯმენტზე. თუმცა შესაძლებელია, იყოს რაიმე ხარვეზი ჩვენი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამიტომაც უნივერსიტეტის წარმომადგენელი აცხადებს, რომ აუცილებლად გადახედავს ამ საკითხს.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ავიაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე არცერთი სახელმძღვანელო არაა მოყვანილი სილაბუსებში, რაც კითხვას ბადებს, თუ როგორ აპირეს დაწესებულება ამ საკითხის გათვალისწინებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა კითხვით არსებობს თუ არა თუ არა საავიაციო ლიტერატურა ქართულ ენაზე. რაზეც საბჭოს წევრმა უპასუხა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი ლიტერატურა.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ გადახედა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტატისტიკურ მონაცემებს ბოლო 4-5 წლის განმავლობაში, სადაც აღინიშნება სტუდენტების ნაკადის კლება და ასევე მცირეა სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებელი სამეცნიერო კვლევებში მონაწილების კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში ეწყობა ხოლმე საერთაშორისო კონფერენციები და გარდა ამისა, წელიწადში ერთხელ მაისის თვეში უნივერსიტეტს აქვს სასწავლო ტური გერმანიაში, რომელსაც აფინანსებს DAAD-ის ფონდი. ეს ტური გახლავთ 10 -14 დღიანი და მოიცავს იქაურ სემინარებში მონაწილეობის მიღებას, ასევე უნივერსიტეტს აქვს გაკეთებული რამოდენიმე პროექტი გერმანულ საწარმოსთან, რომლის საფუძველზე იქ ჩატარდა სემინარი ამ პროგრამის სტუდენტებისათვის. ძირითადად გააჩნიათ ეს ორი პლატფორმა. გარდა ამისა, 14 ქართველი სტუდენტი იმყოფება გერმანიაში და იქ ძალიან აქტიურად არიან ჩაბმული სხვადასხვა საქმიანობაში.

ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტი ატარებს საერთაშორისო კონფერენციას ოქტომბერში „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“ და დაახლოებით 30-35 სტუდენტი იღებს მონაწილეობას ამ კონფერენციაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა თუ რა სხვაობაა საინჟინრო და ბიზნესის ადმინისტრირების ლოგისტიკას შორის. მან აღნიშნა, რომ ამერიკაში პროგრამების 80% არის ბიზნესის ადმინისტრირების კუთხით ლოგისტიკაში, თუმცა უფრო სამაგისტრო დონეზე. გერმანიაში იგივე თემის მხრივ სიტუაცია არის 50-50-ზე. ამ პროგრამის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ მიმდინარე პროგრამა არის საინჟინრო ლოგისტიკა, რაც ნიშნავს რომ პროგრამა ასწავლის ლოგისტებს სისტემების დაგეგმარებასა და მართვას. იგი აღნიშნავს, რომ ქვეყანაში დიდი დეფიციტია ლოგისტიკის სპეციალისტების მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს წევრმა იკითხა, თუ როგორ შეძლებს უნივერსიტეტი, დაიყოლიოს სტუდენტები, რომელთაც ექნებათ ორმაგი დიპლომი, გერმანიაში ბოლო სასწავლო წლის გატარების შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოში და აქ დასაქმდნენ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ გერმანიის რკინიგზის პრეზიდენტთან მოხდა გასაუბრება, როცა ის ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიის კანცლერთან ერთად საქართველოში. ფორმდება ხელშეკრულება, სადაც იქნება ორი ქართველი სტუდენტისთვის პრაქტიკანტის ადგილი ბერლინის არეალში, ხოლო მომავალში ვენაშიც. ნავარაუდებია, რომ ეს სტუდენტები დაბრუნდებიან საქართველოში (თუმცა ხელშეკრულებაში ეს არ არის გაწერილი). ამ ეტაპზე, ბოლო სასწავლო წელს წასული სამი სტუდენტი გერმანიიდან ბრუნდება საქართველოში.

სათათბირო შესვენება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
დაწყების დრო 19: 30
დამთავრების დრო 19:35

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ლოგისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭენის საკითხი

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასება

კერძოდ, მიიჩნია, რომ 2.3 კომპონენტი - სასწავლო კურსი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნასთან" უნდა შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:

საბჭომ მიიჩნია, რომ სსიპ-საქართელოს ტექნიკურ უნივერსიტეტს უნდა მიეცეს შემდეგი რეკომენდაციები:

ა) არ არის მიზანშეწონილი საგნის „სამართლებრივი საკითხები ლოგისტებისათვის" ამ შინაარსით ისწავლებოდეს. აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთ საკითხებზე, რომელსაც უშუალოდ პრაქტიკაში გამოიყენებენ სფეროში დასაქმებული სპეციალისტები. მაგ: ფორსმაჟორი, კონტრაქტი, ინკოტერმსი, არბიტრაჟი, გადახდის ფორმები და ა.შ. გადამუშავდეს „სამართლებრივი საკითხები ლოგისტებისათვის" სილაბუსი და მისი შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსის სახელწოდებასთან;

ბ) საგანი „ბიზნესის საფუძვლები" სტუდენტს უნდა უქმნიდეს სისტემურ (კომპლექსურ) წარმოდგენას ბიზნესზე. წარმოდგენილი საგნის სილაბუსში არ გხვდება ბიზნესისათვის მნიშვნელოვანი საკითხები. მაგ: მარკეტინგი, პროდუქტი, ოპერაციები და ა.შ. მიზანშეწონილია, საგნის შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა;

გ) საგანი „ეკონომიკური გეოგრაფია" სტრუქტურით მისაღებია, მაგრამ მიზანშეწონილია, ისეთი მაგალიღებით და საკითხების გამდიდრება, რომელიცუშუალოდ კავშირშია ლოგისტიკასთან;

დ) მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტებისთვის ინგლისურის სწავლის შეთავაზების შესაძლებლობა;

ე) მართალია კურიკულუმის სხვადასხვა საკითხები არის სხვადასხვა მოცულობით წარმოდგენილი, თუმცა, მაინც მიზანშეწონილია ისეთი სასწავლო კურსების დამატება, როგორიცაა: მენეჯერული აღრიცხვა, ოპერაციათა კვლევა, ოპერაციათა მენეჯმენტი. ბიუჯეტირების საკითხების შესწავლის გაძლიერება;

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

ვ) საგნების დატვირთვა განისაზღვროს მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე და არა ერთიანი მოცულობით, რაც ხშირ შემთხვევაში მექანიკურს ჰგავს.
ზ) „საავიაციო ტექნიკა და საავიაციო სატვირთო გადაზიდვების" სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის, არც უცხოენოვანი და არც ქართული ნაწილი, არ მოიცავს სილაბუსში გაწერილ ავიაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე სილაბუსის შემდგენის პირადი საქმის შესწავლისას არ დასტურდება მისი საავიაიო ტექნიკასთან დაკავშირებული კვალიფიკაცია, რაც სასწავლო კურისის ხარისხიანად განხორციელებას მისი შინაარსიდან გამომდინარე ეჭვქვეშ აყენებს. რეკომენდირებულია მოხდეს სასწავლო კურსის შესაბამისი ლიტერატურით და კვალიფიციური განმახორციელებელი პერსონალით უზრუნველყოფა, ან მოხდეს აღნიშნული სასწავლო კურსის ჩანაცვლება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება
- ✔ აკრედიტაციის შესახებ
- ☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
- ☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- ☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და 3[1] პუნქტების, „განათლების ხარსიხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-3 და და მე-5 პუნქტების, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ლოგისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

5. მეხუთე საკითხი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[29]	სამოქალაქო ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[30]	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[31]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[32]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-

[29] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[30] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[31] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[32] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

8	კვალიფიკაციის დონე[33]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი სამოქალაქო ინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[34]	-
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[35]	საქართველო, ქ. თბილისი, 0175, მ. კოსტავას ქუჩა N68, სასწავლო კორპუსი N1
14	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✔ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✔ კი

დიმიტრი გეგენავა - თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღწერა, რომ შეხვდნენ რეგლამენტით გათვალისწინებულ ყველა ჯგუფს. ჯგუფის მიერ შემუშავებულია რეკომენდაციები და რჩევები. მათ აღნიშნეს, რომ მიზნებში და შედეგებში აღწერილი საკითხები მოითხოვს დაზუსტებას. ასევე აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგებში არსებული ეტიმოლოგიური ხასიათის ნიუანსები მეტად დასახვეწია და ზოგიერთი ტერმინი ჩასანაცვლებელია. სასწავლო კურსის სილაბუსებში წარმოდგენილი მიზნები და თავად სილაბუსები არ შეესაბამებიან ერთმანეთს, - აღნიშნა ექსპერტმა. სასურველი იქნება, რომ არჩევითი საგნების სიმრავლის გამო, სტუდენტს ჰქონდეს ერთგვარი მზაობა, რათა აარჩიოს საგანი. სწორედ

[33] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[34] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[35] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

ამიტომ, ექსპერტები ფიქრობენ, რომ უნდა შემუშავდეს ამის ბერკეტი, რომ სტუდენტს ჰქონდეს წინმსწრები მოლოდინები, რათა მან სწორად აირჩიოს საგანი. ასევე რეკომენდირებულია, რომ სამშენებლო მანქანების შესწავლას დაეთმოს დიდი ადგილი.

ერთ-ერთმა ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული რჩევები. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ სასურველია იყოს დამატებული შესავალი ბიოლოგიაში, რათა უფრო ადაპტირებული იყოს სამოქალაქო ინჟინერის თემატიკასთან. ასევე, დასაქმების საკითხში ჩამოთვლილია ჰიდროელექტრო ნაგებობები, ხოლო სტუდენტები არ გადიან ელექტრო მიმართულებებით სწავლებას, ამიტომ მიზაშეწონილია, რომ „ჰიდროელექტრო" ჩანაცვლდეს „ჰიდროსაინჟინრო"-თი. ასევე, კურსდამთავრებულს ეძლევა საშუალება, რომ იმუშაოს მერიაში, გამგეობებში და სხვა დაწესებულებებში, სადაც სხვადასხვა პოზიციებზე მომუშავე ინჟინერია საჭირო, ამიტომაც სასურველია სასწავლო კურსში ჩაისვას ისეთი საგნები, რომელიც სტუდენტს შეასწავლის ამ დარგში არსებულ რეგულაციებს. გარდა ამისა, სასურველია პროგრამის შინაარსში ყურადღება დაეთმოს საკითხებს სამეწარმეო საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, სასურველია გააქტიურდეს მუშაობა სამეცნიერო-გაცვლითი პროგრამების პროცესებში სტუდენტების ჩასართველად და ყურადღება დაეთმოს სპეციალობის ინგლისური ენის სწავლებას.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რჩევების ნაწილი ეხებოდა პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან დაკავშირებით კორექტირებას. უნივერისტეტი ეთანხმება ამ კუთხით დაკავშირებულ რჩევებს, რომელიც დაკავშირებულია პროგრამის მიზნებთან. სწავლის შედეგების კორექტირებაც აბსოლუტურად მისაღებია უნივერსიტეტისთვის. ტერმინოლოგიური ჩანაცვლებაც ასევე მისაღებია. სილაბუსში გასათვალისწინებელია რჩევის სახით მოცემული კორექტირებაც. რაც შეეხება არჩევითი საგნების წინ სტუდენტის ინფორმირების საკითხთან დაკავშირებულ რაიმე ღონისძიებას, ამაზე უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ჰქონდათ საუბარი პროგრამის ხელმძღვანელთან, ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ და ამასაც გაითვალისწინებს ფაკულტეტი. ხოლო, რაც შეეხება ბოლო რეკომენდაციას, ის საგნები, რომელთა ჩასმაც ექსპერტებმა ახსენეს, კომპიუტერულ საოფისე მასალებთან დაკავშირებით, ის ისწავლება სკოლაში და შესაბამისად მათი ჩასმა ბაკალავრიატის პროგრამაში არ იქნებოდა სასურველი, რადგან იგულისხმება, რომ აბიტურიენტი, რომელიც მოდის ამ პროგრამაზე უნდა ფლობდეს ამ უნარებს. მათი პროგრამაში გათვალისწინების შედეგად, ისეთ საგნებს დააკლდება კრედიტები, რომელიც უშუალოდ კვალიფიკაციაზეა ფოკუსირებული. სამშენებლო მანქანების ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ რჩევაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ აქვთ საგანი - „მშენებლობის მეთოდები", რომელშიც ეს საკითხები არის შეტანილი. შესაძლოა ამ ინფორმაციის უფრო გაღრმავება, მაგრამ ფაკულტეტი თვლის, რომ ეს დონე, რაც არის სილაბუსში შეტანილი, სასწავლო პროგრამისთვის დამაკმაყოფილებელია. ეს პროგრამა შემუშავებულია "ABET" აკრედიტაციის მიღებისთვის. ასევე ამ პროგრამას მიღბული აქვს დადებითი დასკვნა საერთაშორისო დონეზე, დაცული აქვს ყველა სტანდარტი.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რამდენად არის მობილიზებული ლაბორატორიული ბაზა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ გააჩნიათ საექსპერტო ლაბორატორიები და მათი ბაზა მობილიზებულია.

საბჭოს წევრი დაინერესდა რამდენინე საკითხით, რომლებიც ძირითადად სილაბუსებთან იყო დაკავშირებული. მან განიხილა რამოდენიმე საგანის სილაბუსი. მათ შორის "მშენებლობის მენეჯმენტი და უსაფრთხოება " რომელშიც 11 ძირითადი ლიტერატურაა მოყვანილი, „სტატისტიკური მეთოდები სამოქალაქო ინჟინერიაში", აღნიშნა, რომ მანდ 5 ძირითადი ლიტერატურაა (3 ქართული, 2 ინგლისური) მოყვანილი. ასევე მან აღნიშნა, რომ კიდევ რამოდენიმე სილაბუსი შეხვდა დიდი რაოდენობის ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვლით. მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ბაკალავრიატის სტუდენტისთვის ცოტა რთულია აითვისოს ამდენი

მასალა და ძირითადი ლიტერატურის რაოდენობა საკმაოდ ბევრია. მან ასევე აღნიშნა, რომ „ეკონომიქსის საფუძვლებს" ფაკულტეტი ასწავლის მენქიუს სახელმძღვანელოდან (ეკონომიკის პრინციპები), და საბჭოს წევრს აინტერესებდა, თუ რამდენად იყო ეს შესაბამისობაში თავად პროგრამასთან.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა საბჭოს წევრს ლიტერატურის სიუხვეზე, თუმცა აღნიშნა, რომ საგანი იმდენად რთული იყო, რომ საჭიროებდა სხვადასხვა სახელმძღვანელოდან სხვადასხვა თავების დამუშავებასა და სწავლას.

საბჭოს წევრებმა ურჩიეს დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ შექმნილიყო წამკითხველი (რიდერი), რომელშიც მოყვანილი იქნებოდა სხვადასხვა წიგნიდან გარკვეული თავები, რაზეც პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა და მოიწონა აზრი.

სათათბირო შესვენება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
დაწყების დრო 20:00
დამთავრების დრო 20:20

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭენის საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასება

კერძოდ, მე-2 სტანდარტი- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", კერძოდ განსაზღვრული რეკომენდაციებიდან გამომდინარე შეიცველოს 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, ასევე, 2.3 - სასწავლო კურსი კომპონენტების შეფასება. 2.2. კომპონენტი და 2.3 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაციები და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:
ა) სილაბუსებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები;
ბ)სილაბუსებში მიეთითოს მხოლოდ ის სასწავლო ლიტერატურა, რაც სასწავლო პროცესში გამოიყენება. გამომდინარე ზოგიერთ კურსში გამოყენებული ბევრი სავალდებული ლიტერატურიდან, საჭიროების შემთხვევაში შეიქმნას რიდერები;
გ) ძირითად ლიტერატურაში მიეთითოს ლიტერატურა მხოლოდ ქართულ ენაზე ან/და დაზუსტდეს მიღების წინაპირობა;
დ) კურსის „ეკონომიქსის საფუძვლები" დაზუსტდეს სახელი. გამომდინარე იქიდან, რომ „მშენებლობის ეკონომიკის" წინაპირობაა. კურსის შენაარსიდან გამომდინარე მეტი ყურადღება დაეთმოს მიკროეკონომიკის საკითხებს;
ე) გაიყოს „მშენებლობის მენეჯმენტი და უსაფრთხოება" დამოუკიდებელ კურსებად - „მშენებლობის მენეჯმენტი" და „მშენებლობის უსაფრთხოება". „მშენებლობის მენეჯმენტის" წინაპირობად განისაზღვროს „მენეჯმენტის საფუძვლები";
ვ) პროგრამის შინაარსში, არჩევით კურსებში, შეთავაზებული იქნას საგნები ბიზნესის ადმინისტრირებიდან.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 1
გადაწყვეტილება
☐ აკრედიტაციის შესახებ
✔ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარე	ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი	ნიკოლოზ კიკნაძე

Kiknadze

საბჭოს თავმჯდომარე	_____
	ბულმოწერს